აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 20

06 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით კენჭისყრაში, განმეორებითი კენჭისყრის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები რომლებიც წინასწარი მონაცენებით მიიღებენ კანონით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-8 დღისა საარჩევნო კომისიას დამატებით წარუდგებნენ საქართველოს საარჩევნო კოდექსიის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის, საქართველოს საარჩევნო კოდექსიის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო, სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა წარმოდგენონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია